მნიშვნელოვანი ინფორმაცია: მეტროპოლიტენის სატრანსპორტო ორგანოს (Metropolitan Transportation Authority) ან ნიუ-იორკის ქალაქის ნებართვის გარეშე ნივთების მეტროში, საზოგადოებრივ ქუჩებსა თუ ტროტუარებზე გაყიდვა აკრძალულია და შეიძლება გამოიწვიოს ჯარიმები. საქონლის ბავშვთა მიერ გაყიდვა სახიფათოა, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ისინი არიან ზედამხედველობის ან ზრდასრული ადამიანების გარეშე.

PALM CARD ASYLUM SEEKER

იცოდეთ, როგორ მიიღოთ წვდომა სასკოლო ბავშვთა ზრუნვისა და საოჯახო სერვისებზე

კანონის თანახმად, ნიუ იორკში მყოფი ყველა 6-17 წლის ასაკის (ან ისინი, ვისაც 6 წელი 1 ივლისს უსრულდებათ), უნდა დადიოდნენ სკოლაში, იმ სასწავლო წლის დასრულებამდე, რა წელსაც მათ 17 წლის ასაკი უსრულდებათ.

- ის ბავშვები, რომელთაც 6 წელი ივლისიდან დეკემბრამდე უსრულდებათ, მომავალ სასწავლო წელს უნდა ჩაირიცხონ. ბავშვების სკოლაში შეყვანა და სიარული დასაშვებია იმ სასწავლო წლის ბოლომდე, როდესაც მათ 21 წელი შეუსრულდებათ. მიუხედავად საიმიგრაციო სტატუსისა, ქალაქს შეუძლია შვილების რესურსებთან თქვენი დაკავშირება. მცირეწლოვანი ბავშვები, მათივე უსაფრთხოებისთვის, მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ.
- **სკოლაში ჩარიცხვისა და საჭირო აცრების ჩასატარებლად დახმარებისთვის** ეწვიეთ schools.nyc.gov/fwc ან დარეკეთ (718) 935-2009 (ორშაბათი-პარასკევი, დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე).
- **ბავშვზე ზრუნვის პოვნაში დახმარებისთვის:** არის პროგრამები, რომლებიც მოუვლიან და იზრუნებენ თქვენს შვილებზე. თქვენი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად ეს პროგრამები ხელმისაწვდომია თქვენთვის. გთხოვთ, ეწვიოთ https://www.schools.nyc.gov/BrightStarts მცირეწლოვანი ბავშვების პროგრამების შესახებ ინფორმაციისთვის.
- **ახალგაზრდული პროგრამების** შესახებ ინფორმაციისთვის ეწვიეთ https://discoverdycd.dycdconnect.nyc/home.
- სკოლისა და ბავშვზე ზრუნვის გარდა, არსებობს მრავალი სერვისი, რომელიც **ეხმარება მშობლებსა და აღმზრდელებს** მათი ოჯახის უსაფრთხოებასა და თქვენი ოჯახის კეთილდღეობის წახალისებაში. ინფორმაციისთვის, მისწერეთ ელფოსტა connect@acs.nyc.gov ან დარეკეთ 212-676-7667.
- **დარეკეთ, გაგზავნეთ ან ესაუბრეთ 988-ს,** რათა მიიღოთ უფასო, კონფიდენციალური კრიზისული კონსულტაცია და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნივთიერებების გამოყენების მხარდაჭერა, რომელიც 24/7-ზე, 200-ზე მეტ ენაზეა ხელმისაწვდომი. ეწვიეთ nyc988.cityofnewyork.us/en/ სერვისების საპოვნელად.

იცოდეთ თქვენი უფლებები

- **ნიუ იორკში,** მიუხედავად იმიგრაციის სტატუსისა, **თქვენ გაქვთ მუშაკის შესაბამისი უფლებები**. სამუშაოს შესრულებისა თუ მომსახურების გაწევის, უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის ნივთების უნებართვოდ გაყიდვა, არავინ უნდა გაიძულოთ, მოახდინოს თქვენზე ზეწოლა ან მოგატყუოთ.
- **თქვენი, როგორც მუშაკის უფლებების** შესახებ ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ ეწვიოთ ნიუ-იორკის მომხმარებელთა და მუშაკთა დაცვის დეპარტამენტის (Department of Consumer and Worker Protection, DCWP) ვებგვერდს: nyc.gov/workers. ნიუ-იორკის მუშაკთა უფლებების შესახებ წვდომის მისაღებად, ასევე შეგიძლიათ QR კოდის სკანირება.
- თუ თქვენ ან ვინმე, ვისაც იცნობთ, **დაზარალდით სამსახურში ან სახლში**, დახმარება ხელმისაწვდომია. თქვენთვის ხელმისაწვდომი სერვისებისა და დახმარების შესახებ ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ 1-800-621-4673 ან ეწვიოთ nyc.gov/nychope.
- **უფასო საიმიგრაციო იურიდიული დახმარებისთვის** დაუკავშირდით ემიგრანტების საკითხთა მერიის საიმიგრაციო იურიდიულ დახმარებას, (Mayor's Office of Immigrant Affairs) ცხელ ხაზზე 800-354-0365 (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე)
- **დასაქმების პოვნაში დახმარებისთვის:** Workforce1 დახმარებას უწევს სამუშაო ნებართვის მქონე ნიუ იორკელებს, ნიუ იორკის მასშტაბით, ეკონომიკის ყველა სექტორში, სამუშაოებისათვის მომზადებასა და დაკავშირებაში. ეწვიეთ www.nyc.gov/site/sbs/careers/virtual-wf1cc.page

NYC